

მ მ რ რ ი ლ ა ბ ე

obOlé



ზეკერ სულაქაურის
გამომცემლობა

ჰენრი: მაგარი იყო, ბიჭებო, ორმოცდაათი წლისაც რომ შევიქნე, მაინც მესსომება.

რობერტი: ჰენრი, დილიჟანსი გადის.

ჰენრი: გადის და გავიდეს... მაგრამ მე ვერ ვიცოცხლებ მაგდენს... ჩათრობა ვერც მოვასწარი...

რობერტი: ჰენრი! ნავედით! დროზე!

ჰენრი: ლაპარაკსაც არ დაგაცლიან... მე ასეთ ბიჭებთან ერთად...

რობერტი: გეყოფა, ნავედით!

„შესანიშნავი შვიდეული“

იცი რა, მე მობილური არა მაქვს, ვერ ვხმარობ. Troubles are much less, როცა თბილისში მობილური არ მაქვს. ასეთი ქალაქია. ერთხელ, ბავშვობაში, იუგოსლავიაში ვიყავი. მოხდა ეგრე: ტურიზმი, დუბროვნიკი. და ერთმა ტაქსისტმა გვითხრა მე და დედაჩემს: Югославия маленькая Америка. ალალი ხალისით გვითხრა.

ამერიკაში რომ დღეა, აქ ღამეა. ეს რამდენი ხანია ვიცი.

ჰოდა, მესიჯი ჩემი ცოლის ტელეფონზე მოვიდა, როგორც ყოველთვის. დილით დაგვხვდა და უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა.

ჩემი ძმა სანტა ბარბარაში ცხოვრობს. ახლა ნუ იცინებთ. მართლა სანტა ბარბარაში ცხოვრობს. გახსოვთ, სერიალი რომ იყო, სანტა ბარბარა, არასდროს რომ არ მთავრდებოდა? დედაჩემი უყურებდა. სახაროვი გამოუშვეს და დაიწყო და მერე ჯაბა დაიჭირეს, მეორედ რომ დაიჭირეს, და დედაჩემი კიდევ ამ სანტა ბარბარას უყურებდა. ჰოდა, იმ სანტა ბარბარაში ცხოვრობს ჩემი ძმა. ეს უცნაურია. მე სმენა არა მაქვს, ჩემ ძმას აქვს აბსოლუტური. ჩემი ძმა ჰოლივუდის განთქმულ კომპოზიტორებს კინომუსიკის ამბებში ეხმარება. შეიძლება მელოდია თვითონ მოიგონოს, მაგრამ ფილმს სხვისი სახელი ეწეროს. ეგეთი წესი ყოფილა. გარღვევას უნდა ელოდო კარიერაში. Breakthrough ჰქვია. საერთოდ, ჩემი ძმა მაგარი კაცია, თან სულ არ გამელოტდა. ნიუ-ორლეანშიც კი დაუკრავს კლუბებში.

ჩვენ ვერ ვხვდებით, ეგ რა არის, მაგრამ რასაკვირვე-
ლია ხვდებით, რომ ჩემი ძმა რთული კაცია.

და ვინ არის იოლი?

მე ვარ იოლი?

მე ვარ ცოდვებით დამძიმებული, საკუთარი თავის
მტანჯველი მხიარული კაცი, რითაც ხანდახან სხვებსაც
დავტანჯავ ხოლმე. ოღონდ, მთელი ცხოვრება მგონია,
რომ ჩემს ძმაზე რომანტიკული და კეთილი ვარ. კომპოზი-
ტორი ის არის, მე კი უფრო რომანტიკული ვარ.

ჰოდა, ჩემი ცოლი სამსახურში მიდიოდა და ტელეფონს
ჩახედა. მე, რა თქმა უნდა, მეძინა და რომ არ ჩაეხედა, არც
გამელვძიებოდა.

მესიჯი იყო სანტა ბარბარადან. ახალგაღვიძებულზე
კარგად ვერ ვხედავ და ვერც ვფიქრობ, მაგრამ როგორც
არის. ენერა და მორჩა.

„სახურავი ჩამოცდა. ვარლამიემ მომწერა. რა ვქნათ?
გკოცნით ყველას. მომენატრეთ. აგვისტოში მიინდა ჩამო-
გიყვანოთ. იფიქრეთ. ნიკა.“

ვარლამიე. სრულიად გაგაოგნებს ქართველი კაცის
მონადინებულობა და ლტოლვა სიმაღლისაკენ. მე კი არ
დამირეკა, არამედ – ნიკას სანტა ბარბარაში. მე გეტყვით,
რატომ. იმიტომ, რომ შარშან ნიკა იქ დათვრა და თავისი
მობილურის ნომერი მისცა, როცა გინდა შემანუხეო. შენ
თუნდ წინასწარმეტყველი ესაია იყავი, ვარლამიე მაინც
ნიკას მისწერს, იმიტომ რომ, ნიკა სადღაც მაღლა ჰგო-
ნია. „ზაგრანიცა“ ჭრის. და კიდევ რაღაცეები. ნეტა ჩვენ-
თვის დაერეკა. რა საჭირო იყო ნიკას ამ საქმეში გარევა?
ისედაც ბევრი საქმე აქვს და სახლიც ნიკასი არ არის.
მარა ეგრეა. ნიკა ჰგონია უფროსი. რა საწყლობაა, ასეთი

რამეების ამოცნობის უნარი რომ გაქვს. ვარლამიე კი მიყვარს, როგორც კეთილ კნიაზს გლეხი ძველ დროში, მარა, ვარლამიეს ჩემდამი ნდობა არა აქვს, როგორც გლეხს კნიაზისადმი ძველ დროში, მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორშიც ვუნახივარ.

მოკლედ, ნიკას მისწერა და ნიკამ კიდეც გადმოამისამართა.

აბა, ნიკა რას იზამს, მით უმეტეს, რომ სახლი ჩემია.

ახლა, თავიდან უნდა მოვყვე, რომ გაიგოთ.

იმიტომ რომ ქართველი ვარ და ქართველმა თუ წარსულის ამბები არ გადმოალაგა, დღევანდლისას რას ამბობს, ვერ გაუგებ.

ჩემი სამშობლო არის ერთი პატარა ქალაქი, უფრო კი დაბა, რომელიც სულ ხელის განვდენაზეა ქვემო სვანეთიდან და ეგრე, ორსაათ-ნახევრის მანქანის სავალზე – ქუთაისიდან. ბავშვობის შემდეგ მე იმ ადგილებში იშვიათად თუ მოვხვდები, მხოლოდ მაშინ, ჩემი ძმა რომ ჩამოვა ხოლმე, მაგრამ მეტად კი მიყვარს იქაურობა და ისეთ შინაურულობას საერთოდ არსად განვიცდი, რასაც იქ. იმ ჩვენი ქალაქის თავზე წამომდგარია ღონიერი ნანგრევი ციხისა, რომელსაც ჰქვია მური და ჩვენი ძველი სახლის აივნიდან ამ მურის ციხის მტვრისფერი კედლები ისე ჩანს, ხელი რომ გაიშვირო, მოგერიდება, არ შევანუხოო.

ბაბუაჩემის მამა, ტიმოთე, ერთი რამ კარგი „ხარაქტერი“ იყო. მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში. სულ მარკესის წიგნებს გამოადგებოდა იმისი ამბავი. სწორედ მან და ბაბუაჩემმა ააშენეს ის ძველი სახლი, რომელიც სინამდვილეში ყველაზე ძველი ჩვენი სახლი არ არის. უბრალოდ, შორიახლო დგას იმ ჩვენი ძველი სახლისგან,

რომელიც ტიმოთემ ადრე, კომუნისტების შემოსვლამდე ააშენა. ის სახლი მიქელას კარტის ვალებში გაიყიდა და მერე ეს მეორე ააშენეს, შედარებით პატარა.

მიქელა ბაბუაჩემის უმცროსი ძმა იყო, დიდად მომლხენი და ნავთლულის ლაგერში მოკვდა ჯერ კიდევ ომამდე კარგა ხნით ადრე.

ეგ გრძელი ისტორიაა, ტიმოთეს და მისი ყველა ვაჟის ამბავი. ცხადია, რომ ბევრი შვილი ჰყავდა და მიწაც ბევრი ჰქონდა შემოგარენში. იმ შვილთაგან ბაბუაჩემი კი ისეთი გამოდგა, რომ საბოლოოდ მანაც დაამთავრა უნივერსიტეტი და როგორც ფარმაცევტი, ქუთაისში დასახლდა.

ბიძაჩემი ყოველთვის სიამოვნებით გვიჩვენებდა მე და ჩემს ძმას იმ მუშამბის რუკას, რომელიც ჩვენი მიწების გარშემოწერილობას და სინამდვილეს ადასტურებდა. ეგ ბავშვობაში იყო. მე და ჩემს ძმას ყოველ ზაფხულს მიგვერეკებოდნენ ხოლმე იქით, წინაპართა ძველ სახლში, იმ პატარა ქალაქში, რომელსაც საქართველოს რუკაზეც კი ჰა და ჰა, თუ აღნიშნავდნენ.

ის კარგი დროება იყო, ბავშვობის დროება: თევზაობის სწავლა; როგორც მერე შევიტყობთ ხოლმე, არცთუ ჭკვიანი უფროსების სმენა სუფრასთან; და რაც მთავარია, მოულოდნელი და ცხოვრებასთან სრულიად შეუსაბამო წარსულის გაცნობა.

იმას ხომ ვერასდროს დაიბრუნებ.

მერე, ამბები რომ ატყდა, ნიკა ამერიკაში წავიდა. მამაჩემს ძალიან არ უნდოდა. ოღონდ იცოდა, რომ სხვა დრო მოდის და რალაც დარგის დოცენტობა ან სულაც პროფესორობა სავალდებულო სოციალური მდგომარეობა აღარ იქნება. ნიკამ კი ვიზა მიიღო სრულიად მოულოდნელად.

მამაჩემი და ბაბუაჩემი ერთ წელიწადს გარდაგვეცვალნენ. მომავალ ზამთარს კი – ბებიაჩემი. ნიკა პირველად რვა წლის შემდეგ ჩამოვიდა. მერე კიდევ სამი წლის შემდეგ და მას შემდეგ ყოველ წელიწადს ჩამოდის. მაგის ცოლი სტივისი ფლეიტაზე უკრავს გადასარევედ. როგორც იქა თქვეს – ტკბილად. კაი გოგოა. ამერიკელია. თხელი ქერა თმა აქვს და ძალიან კულტურულად მოძრავი თითები, რაც, სუნთქვასთან ერთად ალბათ მთავარია მის საქმეში.

ჰოდა, იმ სამი წლის შემდეგ რომ ჩამოვიდა, ნიკამ აიტეხა, წავიდეთ, იქ წავიდეთო.

ჩავსხედით და წავედით ჩვენ-ჩვენი ოჯახობებით. ახლა იმას ხომ არ მოვყვები, იქ როგორ იყო და რა იყო.

იმ ჩვენი პატარა ქალაქის მუზეუმის ჰოლში მარქსის, ლენინის, სტალინისა და ბაბუაჩემის მამის, ტიმოთეს სურათები ეკიდა. ეგრე მახსოვს ბავშვობიდან. რალაცნაირად მწვანეში გადანყვეტილი პორტრეტი იყო. ბელადებისა ფოტოები – დიდი და ძველებური, იმ სტალინურსავე ჩარჩოებში; ტიმოთესი კი ზეთით ნაწერი. საინტერესოა, ვინ დახატა და საიდან. ბავშვობაში არც კი მომწონდა, იმიტომ რომ, სახლში რომ ტიმოთეს ფოტოპორტრეტი გვეკიდა ძველ ფაფახსა და ალბათ რუხ ჩოხაში, იმას დიდად არ ჰგავდა. აქ სვანურ ქუდში იყო. ეს პორტრეტი ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იმიტომ კი არ გამოეფინათ, რომ ტიმოთე კომუნისტი იყო, არამედ იმიტომ, რომ ეგ ადგილი საერთოდაც მისი დაარსებულია. ეგ იყო მაგათი ეთნოგრაფიც და ყველაფერიც. ჰოდა, იქ რალაცნაირად ვუყვარვართ. სადღაც-სადღაც დარჩენილია ეგა. რალაცნაირი ნარევია მეგობრობისა და

ფეოდალიზმისა. ჩვენი წინაპრები საერთოდაც იმ ციხის ციხისთავები იყვნენ ერთ დროს, დადიანების ხანაში, ეგრე უწერია თავის რვეულებში ტიმოთეს. ტიმოთეს რვეულები კი ბევრი გვაქვს. მთელი სიბერე წერდა და ხატავდა შიგ. ჰოდა, იმ სამი წლის შემდეგ რომ ჩამოვიდა ნიკა, ანუ ჯამში, თერთმეტი წლის შემდეგ, და იქაურობა რომ მოვიარეთ, მითხრა, ეგ სახლი დაინგრევას, ზედა სართული წანვებაო.

ზედა სართული ხისაა, სულ ჩაშავებული, ძველი, გემრიელი ხისა. მგონი სულ ბალღინჯოებია გამჯდარი იმ ხესა და იმ ძველ, სტალინის დროინდელ შპალერს შორის, რომელიც ისე გამხმარა, რომ, ხელი რომ ჩამოუსვა, სულ ნაფლეთ-ნაფლეთ მოდის დაბლა. არ ვიცი, ეგებ ბალღინჯოებიც მკვდრები არიან და სასაფლაო აქვთ კედელსა და შპალერს შუა. ქვედა სართული ქვითკირისაა და აივნებიც კიდევ ხისა, თავისი გაცვეთილი და გალეული იატაკებით. ზემოთ რომ დადიხარ, ქვემოთ ისმის და საერთოდ, ჩეჩმაც წაფერდებულია. ცოტა მაღალი რომ იყოს, პიზის კოშკივით იქნებოდა.

დაინგრევას, ერთი სამჯერ თქვა.

ხო ყველაფერი ინგრევა, თუ არ მოუვლი და რა ვქნამეთქი. მოდიო, დავანგრიოთ ეგ სახლიო და ავაშენოთ ახალიო. მანსარდა, რამე, ამბავიო, რა ხშირად ჩვენ იქ ჩავდივართ, მარა როცა ჩავალთ, ადამიანური იქნებაო. ეგეთ ტუალეტში ტეხავსო. ნუ, „ზაგრანიცაა“ უკვე და ტეხავს ეგეთ ტუალეტში. ბავშვობაში არც გვახსოვდა, როგორი იყო ტუალეტი, იქ რომ დავრბოდით. მაგრამ იმის მერე მართლა ყველაფერი წაყირავდა. ცარიელი სახლი უცებ იწყენს და უცებ ხდება ავად. მაგას მივხვდი, რომ

ჩავედით. ყველაფერს რაღაც მოუხერხებლობის იერი ჰქონდა.

ახლა მე ის წარმოვიდგინე, რომ ეგ სახლი მე უნდა დავანგრიო და ახალიც მევე უნდა ავაშენო, იმიტომ რომ, ნიკა წავა თავის კალიფორნიებში და იქედან დამეკითხება ხოლმე: ფიცარი ჩაიტანეს? ცემენტი ჩაასხეს? მე კიდევ თბილისიდან იქით უნდა ვიარო. ექვსი საათი იქით, ექვსი აქეთ და თან აზრზე არა ვარ, მუშებთან როგორ უნდა. კი, ვარლამიეს ვეტყვით, მაგრამ... ვარლამიესაც უნდა ვენვიო ხოლმე.

ეგ ისე, ყოფით ამბავში, რა უნდა ქნა, და რამდენი ხანი დასჭირდება. მაგრამ ამ ყოფით ამბავზე მერე ჩემმა ცოლმა ამიხილა თვალი, რომელმაც სრულიად სამართლიანად შენიშნა: „მე ვიცი თქვენი ამბავი, ეგ სახლი ჩემი ასაშენებელი იქნება, შენ იქ არ ივლი და ნიკა კიდე ჩამოვა და იტყვის, ეს ასე რატო გააკეთეთ, ის ისეო“.

ეგ მერე, მარა მე უკვე უარი მქონდა ნათქვამი. ესენი სულაც არ მიფიქრია ასე მასშტაბურად. და საერთოდაც არ მიფიქრია, იმიტომ რომ ჩემს ძმას ეგრე ვუთხარი, მე მაგ სახლის დანგრევა არ მინდა და რატო მოგატყუო-მეთქი.

მართლა არ მინდოდა. რომ წარმოვიდგინე იმ ბუღსა და უბედურებაში მაგის ნანგრევები და მერე კიდევ როგორ ეზიდებიან გრუზავიკებით და მეზობლები კი როგორ დგანან და უყურებენ, რაღაცა ისეთი დამემართა, რომ ბაბუაჩემის იერი – იმ თავის ძველ ლურჯ შლაპაში, მდუმარე რომ ზის აივანზე და თითები ტურჩებზე აქვს აფარებული, როგორც იცოდა ხოლმე – ვერაფრით ამოვიგდე თავიდან. ზუსტად ეგრე იცოდა. ზანტად ანვალებდა

თითებით თავის დაბალ, თეთრ უღვაშს და ხმას არ იღებდა. იცი რა, მეც ეგრე ვიცი, ოღონდ უღვაში არ მაქვს ჯერ საკმარისად თეთრი. ადამიანი ხომ ძირითადად გიჟია, ჩემისთანა – საერთოდ. ჰოდა, მეთქი, არა, ის კი არა, რომ არ დავანგრევ, არ შემოიძლია-მეთქი. ჰოო, მეც არ შემოიძლია და იმიტომ გითხარო. ეგებ გავამაგროთო. ბებო და ბაბურო გამახსენდება, არ შემოიძლიაო.

მარტო მე ხომ არ მაქვს „ჩუვსტვები“.

ჰო, რა ვიცი-მეთქი.

მამაჩემის არ იყოს, იქით სიარულს მეც დიდად არ ვანვებოდი. რატომ, ამოუცნობია. გიყვარს და არ მიდიხარ. არც ოჯახობა მიგყავს.

ჩვენს სამშობლოში ცხელი ზაფხულები და თოვლში ჩაფლული ზამთრები იცის. იმიტომაც ეშინოდა, ველარ გაუძლებს ეს სახლიო. ვარლამიე კი გადმოთოვლავდა, მაგრამ მაინც. როდემდე? ჰოდა, მეორე ზაფხულს რომ ჩამოვიდა ნიკა, იცი რაო, ბევრი კი ვიფიქრეო და რახან მაგ სახლის დანგრევა არ გინდა, მოდი ასე ვქნათო: უკანა ეზოშიო, სადაც ვენახიაო, მე პატარა კოტეჯს ჩავდგამო, შენ ხომ არაფერი გექნება სანინაალმდეგოო?

სანინაალმდეგო რა უნდა მქონოდა! ჩადგი-მეთქი, თუ მოასწრებ. უბრალოდ, მე იქით ვერ დავდივარ და ვერც მუშებს მივხედავ და ვერც პრარაბებს. ჰოდა, წავედით და ეგრე გადაწყდა ეგ საქმე. უკანა ეზოში, სადაც ის ძველი მსხალი იდგა, რომელიც ტიმოთემ დარგო, ადგილიც კარგად შეირჩა და ყველაფერი. საქმე ისე იყო, რომ თუ შემოდგომით დაიწყებდი, უნდა მოგეთავებინა, იმიტომ რომ დაუმთავრებელი კოტეჯი ზამთარში ხეირს არ მოიტანდა. რა იცი, როგორი თოვლი მოვა? ოთხი მეტრიც

ყოფილა. ჰოდა, გადაწყდა, რომ შენება ადრე გაზაფხულზე დაეწყოს. ნიკა ზაფხულამდე არ ჩამოსულა და რომ ჩამოვიდა, სახლიც ადგილზე დახვდა. ძალიანაც მოეწონა მგონი. იმიტომ, რომ წინდანინ იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო, მთელი აგვისტო მაგაზე მუშაობაში გაატარა. კოტეჯი ბრწყინვალე იყო. სამ თვეს მოცურავდა ამერიკიდან და ბოლოს ჩამოვიდა. დაშლილი, რა. მაგას და სტივისის აერჩიათ, ასეთი გვინდაო და ასანყობი გამოაგზავნეს. მე თბილისში ერთი ჭკვიანი პრარაბი ვიშოვე და ნახევარი კოტეჯი ლევანას გარაჟში გამოვაზამთრე, მეორე ნახევარი კი პეტრუჩიოს გარაჟში. მერე წავიდე იმ ჩვენს სამშობლოში ამ პრარაბთან ერთად. მაგრა გააკეთეს, ჭკვიანი პრარაბი იყო. რალა პრარაბი. არქიტექტორი. წყალიც შეიყვანეს, გამათბობლებიც დაუდგეს, ტუალეტი, რამე. მე ორჯერ ჩავედი. რას არ იზამ შენი ძმის გულისთვის. ვხუმრობ, რა თქმა უნდა. ჰოდა, ფოტოებიც კი გადავუღე ჩემი ცოლის მობილურით და გავუგზავნე. მეტი რალა მექნა? ჰოდა, ზაფხულში რომ ჩამოვიდნენ, მეგიც ჩამოიყვანეს, თან პირველად. მეგი შვილია მაგათი და გაქანდნენ ეგრევე იქ. ჩვენ არ ჩავსულვართ.

ახლა უკვე ორი სახლი გვექონდა ჩვენს ძველ მიწაზე. ის ახალი, კოტეჯი, თუ კოტეჯი ეთქმოდა – შვიდი ოთახი იყო, და ჩვენი ძველი სახლი. კოტეჯი კარგად მოვდა უკანა მხარეს. ქუჩიდან არც ჩანდა. აი, ამერიკის კადრები თუ გინახავთ, ან კინოები და რამე, იქ არის დიდი, ხის ერთსართულიანი სახლები, ეგეთი იყო. თავისი უნიტაზებით. მეტი რალა გინდა, ვეჟო, როგორც კლასიკოსი იტყოდა.

მოკლედ, მე ძველი სახლი დამრჩა. იმ ძველი სახლის აივნიდან კვლავ ჩანდა მური, ხოლო კოტეჯის აივნიდან

ჩანდა ჩვენი ძველი სახლის სახურავი. ეგ იყო განსხვავება. მური როგორია, იცით? მტვრისფერი. თითქოს აქა-იქ ჭვარტლიც გარეგია. დგას მთაზე და უკანაც მთა უდგას. ღმერთო, ჩემნაირი ქვეშაფსია რომ ყოფილიყო მაგის ციხისთავი... მგონი ორას წელიწადს მაინც ვიყავით მურის ციხისთავები. მთელი დრამებია და ეგებ მოვყვე როდისმე.

ოღონდაც, იმ კოტეჯის აწყობის დროს ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომ იმ პანანინა ქალაქში ყველა მიხვდა, რომ „გლავნი“ ამ საქმეში ნიკა იყო. ეგრეც იყო სინამდვილეში. მე და პრარაბ-არქიტექტორი კი ვჩანდით იქა, მაგრამ მოდი, ეგრე ვიკითხოთ, ვისი მოტყუებაა შეუძლებელი? ბაბუაჩემი ეგრე ამბობდა, გლახს თითის სიგრძეზე ვერ გამოიტყუებ, თუ გამოყოლა არ უნდაო. ჰოდა, ისინი კი მიხვდნენ, რომ „კამანდირი“ ახლა ნიკაა, თან ამერიკაშია და თან აი, ხომ ხედავ, აშენებს. იქ ეგრეა, რომ კლანად აღგიქვამენ, რალაც ერთობად და კლანს კი მეთაური სჭირდება. ამიტომ, ეგეთი დელიკატური ამბავი იყო, რომ, მე რომ ამ ასაწყობი სახლის ჩატანის შემდეგ ჩავედი, და მერე კიდევ ერთხელაც, აუცილებლად, პირველს მკითხავდნენ, ნიკაიე რავა არიო, რა თქვაო. ცუდი კი არ იყო რამე ამაში, ერთხელ მე და ჩემმა ძმამაც ბევრი ვიცინეთ, რო თლა გლავნის ამბები აინტერესებთ, მით უმეტეს, რომ ერთობად აღგიქვამენ, ანუ რაც ნიკას აქვს, მეც მაქვს, ოღონდ, ნიკა გლავნია მაინც. მერე ჩემი პიესა ედინბურგში წარმოადგინეს და რახან ეგ ამბავი ტელევიზორში იყო, ცოტა კი დაიბნენ, ესეც „გლავნი“ ხო არ არისო, მაგრამ მატერიალური სურათი მაინც ძლევდა ხოლმე.

მე ეგ რასაკვირველია არ მანალვლებდა. მეუხერხულე-ბოდა და ეგ იყო.